სტუმრად მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ეგიდითა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს თანადგომით ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებული ბავშვები საყოფაცხოვრებო ნივთებით, სურსათით, წიგნებით, სათამაშოებით, მედიკამენტებით, ტკბილეულით და ხილით დასაჩუქრდნენ.

მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებული სითბოთი და გულისხმიერებით გამოირჩევიან, სტუმრებს სპეციალურად მათთვის მომზადებული კონცერტით შეეგებნენ. კონცერტზე ბავშვებმა ქართველი კლასიკოსების ლექსები, ქართული საგალობლები და ქართველი კომპოზიტორების სიმღერები შეასრულეს.

ნინოწმინდის ბავშვთა სახლში სტუმრობისას მასპინძლებმა სტუმრებს მშენებარე კომპლექსი დაათალიერებინეს, რომელშიც სულ მოკლე ხანში ბავშვთა სახლის აღსაზრდელები ახალსახლობას იზეიმებენ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ყველა იმ მოხელეს რომელმაც კეთილი ნება გამოიჩინა და დახმარება გაუწია ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს.

სააპელაციო სასამათლოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კანცელარიში დაიდგმება სპეციალური ყულაბა, სადაც მოხელეები თანხას ბავშვთა სახლის დასახმარებლად ახალ წლამდე დააგროვებენ, საახალწლოდ კი სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმელითა და ტკბილეულით დატვირთულნი ნინოწმინდის ბავშვებთა სახლს კვლავ ესტუმრებიან. მოხელეთა აქტიური ჩართულობითა და თანადგომით მსგავსი აქცია წელიწადში რამდნჯერმე განხორციელდება.

კრეატიული იდეების კონკურსი

თბილისის სააპელაციო სასამართლომ კრეატიული იდეებისთვის 29 გამარჯვებული გამოავლინა. კრეატიული იდეების კონკურსში მონაწილეობა სასამართლოს მოხელეებმა და სტაჟიორებმა მიიღეს.

გამარჯვებული იდეების ავტორებს სასამართლოს მენეჯერმა თავმჯდომარის მადლობის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

სასამართლო საქმიანობის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოში კონკურსი მაისში გამოცხადდა. სასამართლოს მოხელეები და სტაჟიორები კრეატიულ იდეებსა და მოსაზრებებს სასამართლოში არსებული შიდა ქსელის მეშვეობით აფიქსირებდნენ.

სასამართლოში შესული 200 ნოვატორული იდეიდან 39-მა გაიმარჯვა და რამდენიმე მოწონებული იდეა სააპელაციო სასამართლოში უკვე დაინერგა.

კრეატიული იდეების კონკურსის გამოცხადება სასამართლოს მოხელეთა წახალისებასა და სასამართლო საქმიანობის ეფექტურად წარმართვას ისახავდა მიზნად. მსგავსი კონკურსის ჩატარებას სააპელაციო სასამართლოს ხელმძღვანელობა მომავალშიც გეგმავს.

წერილობითი ხელშეკრულება - სასამართლო დავის მარტივად მოგვარების საუკეთესო საშუალება

სტატისტიკის მიხედვით, არა მარტო ქვეყნის დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც საკმაოდ ხშირია ისეთი, თითქოსდა მარტივი სამართლებრივი დავები, რომლებიც სესხს უკავშირდება. არადა, სწორედ ეს გახლავთ ის სერიოზული პრობლემა, რომლის გამოც, ხშირად, ახლობლები, ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები ერთმანეთს სამუდამოდ ემტერებიან. პრობლემა კი წლების განმავლობაში, ან უარეს შემთხვევაში, სამუდამოდ მოუგვარებელი რჩება.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სასესხო დავებთან დაკავშირებით, მარტო 2010 წელს სასამართლოებში საკმაოდ ბევრი - 3080 საქმე შევიდა, 2009 წელს სესხთან დაკავშირებული 1380 საქმე აქვს სასამართლოს წარმოებაში მიღებული, რაც წინა წლების მონაცემებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამ სახის სარჩელის დაკმაყოფილებით 2009 წელს დასრულდა 714 საქმე. შეწყდა 149. 2008 წელს სასამართლოში სულ შესული იყო 552 ასეთი საქმე. აქედან, სარჩელის დაკმაყოფილებით დასრულდა 356. 87 საქმეზე შეწყდა სასამართლო წარმოება. 2007 წელს ასეთი სახის დავაზე სასამართლოში სულ 565 საქმე შევიდა. აქედან დაკმაყოფილდა 461, შეწყდა 118. ეს სტატისტიკა სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ბოლო დროს, გამსესხებელი სამართლებრივი გზით ცდილობს გასესხებული თანხის დაბრუნებას.

რა უნდა იცოდნენ მოქალაქეებმა, რომ ქართულ რეალობაში ასე გავრცელებული სასესხო ურთიერთობები არ გაურთულდეთ და გამსესხებელი მსესხებლის მომდურედ ან მტრად არ იქცეს, ან - პირიქით?

სასესხო ურთიერთობებს ორი მხარე ჰყავს, ესენი არიან გამსესხებელი, რომელიც სესხს გადასცემს მეორე მხარეს. კერძოდ, მსესხებელს, ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს გადასცემს, რა დროსაც მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

ფორმის მიხედვით სესხის ხელშეკრულება ორი სახისაა, იგი იდება ზეპირად და ასევე, მხარეთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იყოს წერილობითი ფორმაც. საქმე ისაა, რომ სწორედ ფორმის საკითხი იწვევს ხშირად გაუგებრობას, რაც სასამართლო დავებში გადადის.

თითქოს მარტივი სამართლებრივი საკითხი, როდესაც გამსესხებელს მართლაც აქვს გაცემული სესხი და სასამართლოს გზით უკან დაბრუნებას ითხოვს, სასამართლოს მხრიდან მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანა რთულდება. ამის მიზეზი მარტივია. გამსესხებელს პრობლემას უქმნის ვალის გაცემის ზეპირი ფორმა.

უკეთესია, ვალის გაცემაღება წერილობითი ფორმით შედგეს, ანუ, მსესხებელ-გამსესხებელმა სესხი წერილობითი ფორმით გასცენ და მიიღონ რაც სასამართლო დავისას ჭეშმარიტების დადგენას შეუწყობს ხელს.

პრაქტიკიდან გამომდინარე, თუკი სესხის გაცემის ფაქტი დადებულია წერილობით და საქმე შედის სასამართლოში, საქმე უფრო მარტივდება. სასესხო წერილობითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე გამსესხებლის და მსესხებლის დაცვის არანაირი მექანიზმი და საშუალება არ არსებობს.

საქმე ისაა, რომ ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეების ჩვენებებით და სწორედ ეს ქმნის პრობლემას მსესხებელსა და გამსესხებელს შორის. სასამართლოში ყველაფერი დამტკიცებას საჭიროებს, მათ შორის გამსესხებლის მხრიდან ის ფაქტი, რომ მან მართლაც გასცა სესხი და ითხოვს მისი სასამართლოს ძალით დაბრუნებას.

ზეპირი ფორმით გაცემული სესხისას, გამსესხებელი ხშირად ვერ ასაბუთებს სესხის გაცემის ფაქტს, რის გამოც სასამართლოს პრობლემები ექმნება და გარკვეულ შემთხვევებში, მოთხოვნაზე უარის თქმა უწევს. ანუ, თუკი გამსესხებელი ამბობს, რომ მან მეორე მხარესთან ზეპირი ფორმით გააფორმა სესხის ხელშეკრულება მან ეს უნდა ამტკიცოს. კანონმდებლობით კი მხოლოდ მოწმის ჩვენებას სასამართლო ვერ დაეყრდნობა.

თუმცა, სესხის ხელშეკრულების ზეპირი ფორმის არსებობის ფარგლებშიც შესაძლებელია პრობლემების თავიდან აცილება: როდესაც მხარეები, სიმარტივიდან გამომდინარე, მაინც ზეპირ ფორმას ირჩევენ, გამსესხებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ როდესაც თანხას გასცემს, იქვე წერილობით დაადასტურებინოს მხარეს თანხის მიღება.

დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება იუსტიციის სახლებსა და სააგენტოებში

საქართველოს მოქალაქეებს საზღვარგარეთ წარსადგენად ხშირად სჭირდებათ აპოსტილით დამოწმებული დაბადების, ქორწინების მოწმობებისა და სხვა საბუთების წარდგენა.



აპოსტილით დამოწმება გულისხმობს დოკუმენტზე არსებული ხელმონერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილების, ბეჭდის ან შტამპის ნამდვილობის დამოწმებას. საქართველოში გაცემული და დამოწმებული დოკუმენტების სანდოობის ხარისხის ასამაღლებლად შეიქმნა უპრეცედენტო, მაღალტექნოლოგიური დამცავი მექანიზმი - აპოსტილით დამოწმებული დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი.

საქმე ისაა, რომ თუკი აქამდე სასამართლოს მიერ გაცემულ დოკუმენტებს აპოსტილით ამოწმებდა და ლეგალიზებას უკეთებდა უზენაესი სასამართლო, ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ დოკუმენტებს - შრომის, ჯანმრთელობისა სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, ამ დოკუმენტებს უკვე იუსტიციის სახლებსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში დაამოწმებენ.

"დღეს უკვე დოკუმენტის აპოსტილით დამოწმებასა და ლეგალიზაციაზე საბუთებს მიიღებენ და გასცემენ: ბათუმის, რუსთავის, მესტიის, იუსტიციის სახლები, თბილისის ნებისმიერი ტერიტორიული სამსახური, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის, ფოთის, ოზურგეთისა და ახალციხის ტერიტორიულ სამსახურებიც. ამავე სამსახურებში ხდება საზღვარგარეთ წარსადგენი ნებისმიერი დოკუმენტის სხვადასხვა ენაზე თარგმნაც.

რაც შეეხებათ უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, მათ ამ სერვისის მიღება ონლაინრეჟიმში შეუძლიათ. ამჟამად საზღვარგარეთ წარსადგენ დოკუმენტებს აპოსტილით მესტიის იუსტიციის სახლიც დაამოწმებს. ადრე მაღალმთიან რეგიონში ამგვარი სერვისის მიღება შეუძლებელი იყო და მოქალაქეს მომსახურების მისაღებად სხვა რეგიონში უწევდა ჩასვლა,"- აცხადებს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გაბრიელაშვილი.

მისივე განმარტებით, აპოსტილის სტიკერზე მითითებულ ვებგვერდზე უცხო ქვეყნის ორგანოებს, რომელთაც წარედგინებათ საქართველოში დამოწმებული დოკუმენტი, შეუძლიათ აპოსტილის უნიკალური ნომრისა და გაცემის თარიღის მიხედვით გადაამოწმონ მისი ნამდვილობა.

ერთი დოკუმენტის ლეგალიზაცია, ანუ აპოსტილით დამოწმება რვა სამუშაო დღის განმავლობაში 20 ლარი ღირს. სამოქალაქო რეესტრი დოკუმენტების დამოწმების კუთხით, მოსახლეობას დაჩქარებულ მომსახურებასაც სთავაზობს. დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება ოთხ სამუშაო დღეში 40 ლარი ღირს, მეორე დღეს - 70 ლარი, ხოლო იმავე დღეს 100 ლარი

სასამართლოს ქრონიკა
17 ოქტომბერი, 2011 წელი

როგორ ნაწილდება სასამართლო ხარჯები მხარეებს შორის

გარდა სახელმწიფო ბაჟისა, სასამართლო პროცესის ჩატარება გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რომლის გადახდაც საქმის განხილვის სხვადასხვა ეტაპზე ერთ-ერთ ან ორივე მხარეს ევალება. საქმე ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში, არც მოპასუხემ და არც მომჩივანმა არ იცის, რა ვალდებულებები აკისრიათ სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით, როგორ ნაწილდება სასამართლო ხარჯები მხარეებს შორის და რა შემთხვევაში ბრუნდება უკან მთლიანად ან ნაწილობრივ, სახელმწიფო ბაჟის გარდა გადახდილი სხვა ხარჯები.

სახელმწიფო ბაჟის გარდა, სასამართლო პროცესის მსვლელობისას მხარეების მიერ გადასახდელ ხარჯებში შედის საქმის განხილვასთან დაკავშირებული, ადვოკატის მომსახურების, მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად გაწეული, მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტისთვის მისაცემი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან, ექსპერტიზასთან დაკავშირებული და სხვა ხარჯები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, გაწეული ხარჯები მხარეს არ დაუბრუნდება.

შესაძლებელია სასამართლოსთვის მიმართვა, ხარჯის გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების მოთხოვნით, რა დროსაც წარდგენილი უნდა იყოს უტყუარი მტკიცებულებები ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული.

თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან მოპასუხე ცნობს სარჩელს, ან მხარეები მორიგდებიან, სახელწმიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. ხოლო, თუკი ეს მორიგება მოხდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მხარეები საერთოდ თავისუფლდებიან სახელწმიფო ბაჟის გადასახადისგან.

იმ შემთხვევაში, თუკი სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელწმიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად.

სასამართლო ხარჯების გადახდა ევალება იმ მხარეს, რომლის საწინააღმდეგოდაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება.

სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხარჯები ნაწილდება მხარეებს შორის დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად.

თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ მოსარჩელე მხარს არ დაუჭერს თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ, მოსარჩელის თხოვნით, სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯის ანაზღაურებას.

სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები უნდა გადაიხადოს მოსარჩელემ.

თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია მნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები უნდა გადაიხადოს მოსარჩელემ, რომელიც არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისგან და თანხა უნდა იყოს დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციული.

იმ შემთხვევაში კი თუკი ორივე მხარე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს გაიღებს სახელწმიფო.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების დაბრუნების წესს.

სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სახელწმიფო ბაჟი მთლიანად დაბრუნებას ექვემდებარება. სარჩელის გამოხმობის შესახებ მოსარჩელის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი ბაჟის 70 პროვცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება

თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. თუკი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი

სახელმწოფო ბაჟის დასაბრუნებლად პირი განცხადებით მიმართავს სახაზინო სამსახურს, სადაც წარდგენილი უნდა იყოს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. თანხა ჩაირიცხება პირის მიერ მითითებულ ანგარიშზე ერთი თვის ვადაში. ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე.

შეხვედრა რექტორებთან

უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს შეხვდა.

შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები, არა მარტო თბილისიდან, არამედ რეგიონებიდანაც.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ სტუმრებს სასამართლოს მიერ შექმნილი ორი ახალი პროექტი: გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა და უზენაესი სასამართლოს არქივის ელექტრონული პროგრამა გააცნო. კონსტანტინე კუბლაშვილის განცხადებით, ამ პროგრამების აქტიური მომხმარებლები, სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და დოქტორანტები იქნებიან.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებს რამდენიმე საინტერესო აქტივობის განხორციელება შესთავაზა, მათ შორის, სასამართლო დარბაზების გამოყენება იმიტირებული პროცესების ჩასატარებლად.

უზენაეს სასამართლოსა და უმაღლეს სასწავლებლებს შორის თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია

სასამართლოში დოკუმენტების ბრუნვა და საქმის წარმოება უკვე ელექტრონულ რეჟიმშია შესაძლებელი. რამდენიმე დღის წინ უზენაეს სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას ქართული და უცხოური საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მოქალაქისთვის სასამართლოსგან ობიექტურ გადაწყვეტილებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია სწრაფი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება. წლების განმავლობაში სასამართლო სისტემა ერთ ბიუროკრატიულ წრედ იყო ქცეული. სასამართლოში შესული ნებისმიერი განცხადება იმთავითვე პირველადი რეგისტრაციის ჟურნალში ხვდებოდა, შემდეგ იგივე ინფორმაცია გადადიოდა საქმის კატეგორიულობის განმსაზღვრელ ჟურნალში, შემდეგ ალფავიტურ ჟურნალში. ივსებოდა სააღრიცხო სტატისტიკური ბარათი, რის შემდეგაც ინფორმაცია ხვდებოდა მოსამართლეთათვის გადასაცემ ჟურნალში, თავის მხრივ, იგივე ინფორმაცია ინიშნებოდა თანაშემწის ცნობარში და კიდევ რამდენიმე დამატებითი პროცედურის გავლის შემდეგ, ეს განცხადება აღწევდა მოსამართლემდე. უმეტეს შემთხვევაში, ამ პროცედურას თან ახლდა გარკვეული გაუგებრობები, რის გამოც, მოქალაქე ხშირად საკუთარი განცხადების ბედს სასამართლოს სხვადასხვა უწყების თანამშრომელთან არკვევდა, ეს კი უამრავ დროს, ენერგიას და ნერვებს მოითხოვდა. ბოლო პერიოდში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა, თუმცა სასამართლოში საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვის შემდეგ ეს პრობლემა საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს. ახალი სისტემა მოიცავს სამართალწარმოების ყველა დარგს - სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

როგორც ამ პროგრამის ერთ-ერთი სულისჩმდგმელი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი ამბობს, ელექტრონული პროგრამა საქართველოს 15 დიდ სასამართლოში უკვე მოქმედებს და წლის ბოლოსთვის სრული დატვირთვით ამუშავდება, 2012 წლიდან კი ქართული მართლმსაჯულება საქმის წარმოების ელექტრონულ ქსელში მთლიანად იქნება ჩართული.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

UNDP Georgia

მსუბუქი, გამამართლებელი და მკაცრი განაჩენები

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ ამინა იაგუბოვას 27 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 54 წლის აზერბაიჯანის მოქალაქეს ბრალად ედებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონო შემოტანა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, საქმის მასალების მიხედვით, გაირკვა, რომ ბრალდებულმა 2011 წლის 19 ივნისს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, სასაზღვრო გამშვები პუნქტით, წითელი ხიდის გავლით, საქართველოში უკანონოდ შემოიტანა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეძენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობა 2.0715 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი." შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბრალდებული იმავე დღეს, ნინოშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით 2.0715 გრამი ნარკოტიკული საშუალება "ჰეროინი."

სასამართლოს ცნობით, ღია სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვისას ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, თუმცა მისი ბრალეულობა დადასტურდა მისი პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, საზღვარზე მოძრაობის ინტენსივობის დამადასტურებელი დოკუმენტით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ კი დარბაზიდან ორი ბრალდებული გაათავისუფლა., ნოდარ აფციაურს და ბადა წიკლაურს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენასა და შენახვაში ედებოდათ. როგორც სასამართლოში განმარტავენ, ორივე მათგანის მიერ ჩადენილი ქმედება წინასწარი გამოძიებისას დადასტურდა როგორც მოწმეთა ჩვენებებით, ასევე თვით ნოდარ აფციაურისა და ბადა წიკლაურის აღირებითი ჩვენებებით, ასევე ჩხრეკის ოქმებითა და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით. რალდებულებმა ითანამშრომლეს გამოძიებასთან და სასამართლომ მათ სამი წელი პირობითი მსჯავრი მიუსაჯა, რაც საბოლოოდ, 4 წლით გამოსაცდელი ვადით შეუცვალა და ორივე მათგანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ზესტაფონის სასამართლომ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრტელობის დაზიანებისა და ქონების განადგურების მუქარასი ბრალდებული ოტარ კაპანაზე უდანასაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

«სასამართლომ სრულად გამოიკვლია მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ საქმეში არ არსებობდა კაპანაძის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები,» - განმარტავენ სასამართლოში.